

ნიანგონი

8
1982

ISSN 0132-6015

ქართული
ბიბლიოთეკა



სონიასა ჯ. 899

ზოგჯერ წარმოება-დაწესებულებაში ბევრი უსაქმურია და მთელი სამუშაო ერთი-ორი კაცის კისერზე გადადის.

— მოსულა! ნაპედიტი!..



ნახ. ბ. ფირცხალაშვილი

— რატომაა შენი ღვინო ყველაზე ტკბილი და კვირი?
— მე კანფიტა ვაყენებ, ბატონო!..

ნარილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოსულ წერილში მშრომლები ამხილებდნენ ჭიჭიერის სოფელ ხრეთის მოსახლეობის მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

ჭიჭიერის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან რედაქციას მოსწერეს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტების ნაწილი დადასტურდა.

1981 წელს მართლაც სუსტად მუშაობდა სამგზავრო ავტოტრანსპორტი. 7300 რეისიდან ჩაიშალა 406 რეისი, აქედან — ზამთარში უგზოობის გამო — 305, ხოლო ავტომანქანების დაზიანების გამო — 101 რეისი. აღმასკომმა განიხილა სამგზავრო ავტოტრანსპორტის მუშაობის საკითხი და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებლად. ამასთან ერთად, წელს სოფელ ხრეთში აშენდება ავტომოსადგელი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაამთავრა სოფელ ხრეთიდან მთის საძოვრებზე მისასვლელი გზის მშენებლობა.

სათანადო ყურადღება ექცევა სოფლის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. აქ არის კეთილმოწყობილი კლუბი, სამი ბიბლიოთეკა, საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლები, პურის საცხობი, სამრეწველო და სასურსათო მაღაზიები, საბავშვო ბაგა-ბაღი.

აღმასკომი კვლავ განახორციელებს ღონისძიებებს სოფელ ხრეთის, როგორც მთის სოფლის.

მცხოვრებთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გორის რაიონის სოფელ მეჭვრისხევიდან რედაქციას სწერდნენ ავტობუსის მოსაცდელის აშენების საჭიროებაზე.

სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომიდან შეგვატყობინეს, რომ გორის № 28 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის 1982 წლის გეგმაში გათვალისწინებულია სოფ. მეჭვრისხევი მგზავრობა ტიპობრივი მოსაცდელის აშენება.

სახხარაში ცხოველების გასაყიდი საკომლემენტო ბაზარი მოუხერხებელ ადგილზეაო — სწერდა რედაქციას სოფ. ჩიხაში მცხოვრები გ. ლულუნიშვილი და ითხოვდა მის სხვა ადგილზე გადატანას.

სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომიდან რედაქციას აცნობეს, რომ პენსიონერ გ. ლულუნიშვილის მოთხოვნა სამართლიანია. იმის გამო, რომ ბაზარი ქალაქის ცენტრს დაშორებული იყო, სახერხის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მისთვის გამოყო უფრო მოხერხებული ადგილი. მიმდინარეობს სამუშაოები მის კეთილმოწყობადა.

„ნიანგს“ უკასუხებს

სათამაშოების საწარმოო გაერთიანება „სინხარული“:

„ნიანგის“ მიმდინარე წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნა — „ვი თომ შეეშალათ?“, რომელიც ეხებოდა თბილისის მე-4 მექანიკური ქარხნის მიერ გამოშვებულ ბრელოკზე სვეტიცხოველის ტაძრის აგების თარიღის აღრევას, განხილული იქნა ქარხნის კოლექტივში. მკაცრი მსჯელობა გაიმართა იმ მუშაკთა მიმართ, რომელთა უუპურადღებობამაც გამოიწვია აღნიშნული შეცდომა.

მე-4 მექანიკური ქარხნის ხელმძღვანელობამ ბრელოკის წარმოება დროებით შეწყვიტა და შეცდომა გასწორდა.

უუპურადღებობამ უხერხულობაში ჩააყენა მთელი კოლექტივი და ძალიან ვნახობთ, რომ შეცდომა ადგილზევე ვერ შევნიშნეთ.

გთხოვთ, დაშვებული შეცდომა ჩვენი ერის ისტორიის უცოდინარობაში არ ჩამოგვართვათ, იგი უუპურადღებობის შედეგია, რისთვისაც ვიხდით ბოდიშს.

სეაპი ზაზაურად კვდებიან!..

(საჩხერე, კორბოულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა)

უპვე, რამდენი წელია, ბალს არ პატრონობს არავინ! თხუთმეტ პეტტარზე ასობით წუხს ხე — ძირდაუბარავი!.. შიგ მოშლივინე ნახირი ჰვენეტს, რაც კი დასაკვენტია!.. ხენი კვენსიან უწყალოდ და ზეზუურად კვდებიან!..

სამაგ ფასში!..

(მცხეთა, სოფელი დილომი)

მუდამ ჰქონდა შინ და გარეთ ზუთხი, დოში, სიზილალა!.. თავის ფასში არ გვიტოვებდა, გრამიც კი არ გვიზიარა! ჰყიდა ანჯორ შიოშვილი (ქორეჭარობას თვლიდა გარჯად!) სამამაგ ფასში ჰყიდა რაკი, სამი წელი მიესაჯა!..

ქარის ორმოდან..

(დუშეთი, სოფელი ლამოვანი)

უკულმა დაატრიალა თავისი ბედის ბორბალი: მიითვისა და გაჰყიდა ათასი კილო ხორბალი!.. საწყობის გამგე ჯუმბარი, კოლხიტაშვილი გვარადა — ქერის ორმოდან, მიხვდებით, თუ რა „ორმოში“ ჩავარდა!..

უსახელო დუშანი

(თბილისი, სამგორის ქ. № 2)

ამ ობიექტის შესახებ მინდა, ქვეყანას ვუამბო: სამგორის ქუჩის თავშია კვების კერა უაბრო!.. არც „სასადილო“, „სახაშე“, არც „რესტორანი“ სწერია!.. დგას უსახელო დუშანი, ავერ, თორმეტი წელი!

კაცია, ადამიანი?!

(კახი, სოფელი ფერმა)

კასპიდან მცხეთას დაეცა, პირგამეხილი, ნაჯახით! — ერთ გლექქალს ვაზი აუჭრა, არ დაუტოვა ნასახიც!.. მერე სამ ტონა-თივასაც შეუწითო ცეცხლი ბრიალა!.. დასნვა საბძელიც!.. ნაცარზე ამაყად გადაიარა!.. თუმც ელის ბორის მარღიშვილს სასჯელი მრავალწლიანი, მსურს, გკითხოთ: იგი კაცია?! კაცია, ადამიანი?!

ოცი კაპიკი


(თბილისი, კლარა ცეცხლის ქ. № 95)

„საქალაქთაშორისომ“ ტელეფონი გათიშა!.. რატომ-მეთქი, რომ ვკითხე, ვალი გაქვსო! — მანიშნა. — ქვითარს რომ არ მაღირსებთ, რას გადავიხდო, მითხარი?! უმალ გამომიწერა ოც კაპიკზე ქვითარი! არა, ერთხელ კი არა, „მიმინვია“ მრავალჯერ!.. მიმოსვლაში რამდენი დრო და ფული დაეხარჯე!..

გაიოზ შავრუაშვილი,

„ნიანგის“ კორესპონდენტი.

იმ, სადაც ბულალტერი კანონის სადარაჯოზე არა დგას, სოციალისტური საკუთრების პირობები იქმნება.



ფულდია ბულალტარი

გიუმ ხარნაძე

უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერები

1982 წ. 28 თებერვალი.

ჩემი ცოლისძმის ქვისლთან ვიყავი სტუმრად ცხინვალში, ზიგმუნდ ბაგაევთან, მამსუროვის დასახლებაში რომ ცხოვრობს, მეცხრე სართულზე. მასპინძელმა თბილზე თბილად მიმიღო, მაგრამ, სამაგიეროდ, გორის სამშენებლო ტრესტმა იყარა ჩემზე ჯავრი: მთელ ღამეს მაცივარში მეგონა თავი, ისე მაკანკალებდა!.. თურმე ამ სახლებში არც გათბობაა, არც ცხელი წყალი (ცივს ხომ ცხინვალში ისედაც გრაფიკით აწვდიან მოსახლეობას!), პარკეტი აყრილი გახლდათ, ბათქაში, რასაკვირველია, ჩამოცვენილი. ავდექი დილით, ჩავიცვი, დავიხურე, მაგრამ უეცრად კარი გაიღო (ისეც არ იკეტება და რაღა გაღება უნდოდა?!), ფანჯრის დამსხვრეულ მინაში გამჭოლმა ქარმა ჰკრა თავი, სულ მოდღლიზა ფანჯრის ჩარჩო, ჩემი „ხინკალა“ ქუდი მომშვლილა და ეზოში გადააფრიალა!..

ბუნებრივია, მისი ძებნა არც მიფიქრია და ვაჭრობის ქუჩისაკენ გავეშურე, იქნებ, მექუდე მიშიკოს ხეირიანი რამ აღმოაჩნდეს-მეთქი. როგორც იქნა, შევარჩიე ჩემი ზომა, ფასი კი თვითონ შემირჩია — 10 მანეთი მომთხოვა 5-მანეთიან ქუდში! უეცრად თვალში მომხვდა უცხოური ღილები და ქამრის ბალთები. დავინტერესდი, ეს საიდან-მეთქი?! ხმა არ გამცა. ეს უცხოური ღილები საიდან მიიღეთ-მეთქი, გავუმეორე ხმაბალა. დუმს! ბოლოს ვიფიქრე, იქნებ რომელიმე უცხოური ფირმის ფილიალია, თვითონაც იქაურია-მეთქი და ვკითხე: — ბიტტი, ჰერ, ანტკორტეტი, ზი ბიტტი — ვას ისტ დას? დუმს! — ფერშტეენ ზი დოიჩ, ნისტ? განაგრძობს დუმილს!

ერთი სიტყვით, ვაჭრობის ქუჩაზე ბევრი რამაა იდუმალებით მოსილი.

რედაქციისაბან: ამჯერად უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერებში გამოცანა-ამოცანა არ აღმოჩნდა და რედაქცია ცხინვალ-ქალაქის სათანადო ორგანოებს სთხოვს, ამოხსნას ის თავსატეხი კითხვები, რომლებიც იდუმალებით მოსავს ყოფა-ცხოვრების საჭირობოროტო ასპექტებს!

ალექსეი კრუტი
 („ლიტერატურნაია ვაზეტა“)



უფროსი და ხელკეპიონი

ზოგიერთი ხელკეპიონისათვის კარგი უფროსი ისაა, შვებულებაში რომ არის. მაგრამ შვებულება ერთია, ხოლო წელიწადში თორმეტი თვეა. ჰოდა, იმ დანარჩენ თერთმეტ თვეში, ნებისთ თუ უნებლიედ, ხელკეპიონებს უხდებათ იმსჯელონ უფროსის ავ-კარგზე. ზოგჯერ ეს მსჯელობა ასეთია:

- სამუშაოზე უფროსი მოვიდა ყველაზე ადრე: — განგებ ქნა, ჩვენი შემოწმება სურდა!
- სამუშაოზე უფროსი მოვიდა ყველაზე გვიან: — სამსახურის დროს მანქანის ტექშემოწმებას გადის!
- სამუშაოზე უფროსი არ გამოცხადდა სულ: არავინ არაფერს ამბობს. მაღაზიების რიგებში დგანან!
- კარგ ხასიათზეა უფროსი: — საქმე არა აქვს და უხარია!
- ცუდ ხასიათზეა უფროსი: — შეგვკამოს ბარემ!
- უფროსმა რაღაც თვითონვე გადაწყვიტა: — ფეხებზე ვკიდივართ ჩვენ!
- უფროსმა დასკვნისათვის თათბირი მოიწვია: — თვითონ ვერაფერს ვერ წყვეტს და!..
- უფროსი იშვიათად გამოდის კაბინეტიდან: — სძინავს, ან კროსვორდს ხსნის!
- უფროსი ხშირად გამოდის კაბინეტიდან: — მთელი დღე სიარულს უნდება, სამუშაო კი!..
- უფროსმა ჯანმრთელობა მოიკითხა ერთის: — მზრუნველი კაცის სახელი უნდა დაიგდოს!
- უფროსს არ მოუკითხავს არავის ჯანმრთელობა: — რა ენაღვლება, ბატონო, თვითონ ხარკით არის!
- ძველი უფროსის ადგილზე ახალი უფროსი მოვიდა: — ეჰ, რა კაცი გყავდა! ამას ვინ გაუძლებს?! შვებულებაში არ მიდის ნეტავ?!.

თარგმნა უნ-ბამ

ნახ. მ. აბაშიძის



— თუ ძმა ხარ, ერთი, აბარ ჩემს საყანაზეც გადაატარი მაგი მანქანა, დათესვა აღარ დამჭირდება!..

ჩვენის სტუმარი 50 წლის ვახტანგ გოგობლაშვილი

მეგობრული შარტი
გ. კვანტალიანი



ჩემი

ბიოგრაფია

1932 წლის 27 აპრილი, დილის 11 საათი. სოფელი კურსები. — ეს არის ჩემი დაბადების დრო და ადგილი.

მოგვიანებით თითქმის მთელი მსოფლიო მოვიარე, მაგრამ არაფერი შემხვედრია კურსებზე ულამაზესი, და ამიტომ უბედურეს ადამიანად მიმაჩნია თავი, რომ ამ ნახევარი საუკუნის წინათ ქვეყანას სწორედ აქ მოვევლინე!

დავით აღმაშენებლის შთამომავალი არა ვარ და არც თვითონ გახლავართ შოთა რუსთაველი, ამიტომაც ჩემს გენეალოგიას ფესვებამდე, ალბათ, არა ვინ ჩამყვება. მეც ნამეტანი შორს არ ვიხედები...

პირველი ლექსი — „ჩემი თხოვნა“ — 1946 წელს დაგვიჭდა გავით „ინდუსტრიული ქუთაისში“. სხვათაშორის, ახლახან გადავითვალეთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, 14 წლის ბავშვის კვლობაზე საკმაოდ კარგი ლექსია. სკოლის დამთავრებამდე ლექსებს მიბეჭდავდნენ „ნორჩი ლენინელი“, „პიონერი“, „ლელო“, „ინდუსტრიული ქუთაისი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“...

მადლიერებით ვიგონებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს და მის პერიოდულ ორგანოს „პირველ სხვის“. 1957 წელს გამოიცა ჩემი პირველი წიგნი — „მასხენდება მშობლიური სკოლა“. მასში თავმოყრილია ყველაფერი საუკეთესო, რაც ამ დროისათვის მქონდა. ახალგაზრდა კაცის პირველი წიგნის თაობაზე არა უშავს რა.

უნივერსიტეტში 1950-1955 წლებში ვსწავლობდი. დავამთავრე ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება.

ახლა ოცზე მეტი წიგნის ავტორი ვარ. აქედან ზოგი მომ-

წონს, ზოგი არა, მაგრამ მთლად გადასადები, მგონი, არც ერთ არ უნდა იყოს. ერთი მოთხრობა — „იქ, სადაც ლურჯი მთებია“ გამოიცა ქართულად, რუსულად, უკრაინულად, სპარსულად (თეირანში), თურქულად (სტამბულში), ლიტვურად. მოთხრობა ჩემს საყვარელ სოფელსა და სოფლებზეა დანერვილი. ჩემთვის ბედნიერი დღე იყო, როცა ერთი რუსი ბიჭის წერილი მივიღე. იგი მწერდა — რა ბედნიერი არიან ქართველი ბავშვები, ასეთ ლამაზ სოფლებში რომ ცხოვრობენო! ასე მეგონა რაღაც ძალიან ძვირფასი მანუქეს. „უკვდავების წყაროსთვლილი“ ჩემს სოფელს შეეხება. „მუსიკატერის სიკვდილი“ კი სულ სხვა თემაზეა.

ოციოდე პიესაც დამიწერია. აქედან ერთი მათგანი „წეროები“ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დიდ სცენაზე დაიდგა — მოსკოვში, კიევში, ლენინგრადში, ოდესაში, ომსკში, გორკში, ერევანში და, ვინ იცის, კიდევ სად. საზღვარგარეთაც — იაპონიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, ინგლისში.

პირველად იგი 1961 წელს დაიდგა, პირველი პრემიაც დაიმსახურა მოსკოვის ფესტივალზე და მიხარია, რომ დღემდე არ ჩამოსულა სცენიდან. მუსკომედის სცენაზე იდგებოდა ჩემი „ირმისა“, „შვიკი ფრონტზე მიდის“, „შვიკი, შვიკი, შვიკი!“ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში — „ალვები“, თოჯინების თეატრში — „სინათლის ჩიტი“, მინიატიურების სახელმწიფო თეატრში — „ემშაკის კუდი“, ესტრადაზე — „მე, ელენე, ერასტი და მედეა“, „მშვიდობით, სიყვარულო!“, „მხიარული გაკვეთილი“, „აღდგენილი თერთმეტმეტრიანი“ და სხვა მრავალი.

რუსულიდან ვთარგმნე სევეროვისა და ხალემსკის „უკანასკნელი მატჩი“, ფერეშოვის „ანდრომედას ნისლეული“, იანუშ კორჩაკის „ზაფხული მიხლუკავაში“ და „როცა კვლავ პატარა გავხდები“.

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ცოტა მგონია. არც ნახევარი საუკუნე მეჩვენება მეტისმეტად ღრმა მოხუცობად. ძალიან ბევრი და კარგი გეგმა მაქვს. თუ ღმერთმა მაცოცხლა, ვეცდები, ისე არ წავიდე ამ ქვეყნიდან, ერთი კარგი წიგნი მაინც არ დავტოვო ჩემს გასასხენებლად.

ადამიანის ბიოგრაფია, რაც უნდა ბევრი გადავაჭრელოთ, სულ ორ თარიღს შორის ეტევა — დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს შორის. ჩემი ბიოგრაფიის პირველი თარიღი ცნობილია, სანამ მეორე თარიღს გავიგებდე (მე რაღას გავიგებ), მინდა ჩემი ბიოგრაფიის ბოლო სიტყვად ეპიტაფიასავით თქმული ეს ლექსი იქცეს:

მხოლოდ შენ ერთი, მხოლოდ შენ ერთი იყავი ჩემი ეშმაკი და ღმერთიც! პატარა მინავ, ოკრიბის მთაში, შენთან ვბრუნდები დამსხვრულ ფრთებით! ხვალ შენს ყვავილში, წყაროში, ქვაში, შენს ბალახებში განვსხულებდი!



საქართველოს ტუეებს. ველებს, თვალმშვენიერ მთებს და ბარებს. მუინვარებზე გაშლილ ლუვარდს. ზღვისპირეთის მწვანე მხარეს. არავისპირს — ქვიანს, ტყიანს. დარიალის კლდოვან კარებს. — ყველაფერი ჩვენი არის. — მეგობრებო, მოუარეთ!

ალვისა და ქადრის ბეებს, ცადატორცნილ სხვითა დარებს, ზოზბისა და კაპის გუნდებს, ირმისა და შვლების ფარებს, ჩეჭილიან-ქანიანსა, ვენახიან ეზო-ზვარეს. — ყველაფერი ჩვენი არის. — მეგობრებო, მოუარეთ!

თორემ რაა, — ტუე გავჩეხეთ, მშრალზე ქარი ჩატრიალდა, წყაროები ამოგვიშრა, ნაკრძალები გატიალდა!.. ჩხიკვებს, ჩხარტვებს, ჩიტბატონებს ჩვენ მოვუღეთ თვითონ ბოლო! მგელი რაა, რუხი მგელიც ზოობარკში დარჩა მხოლოდ!

მოუფრთხილდით, მოუფრთხილდით საქართველოს მთებს და ველებს, დასალუბად განწირულებს, კვას სტორცნილენენ ქვანდლო! მოუფრთხილდით ქართულ ტუეებს — ღამის ბინდს და დღის ცისკარს! უური მიგდეთ, მოგიყვებით დღევანდელი კურდღლის სიზმარს:

კურდღელმა თქვა: ჩირგში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო! გავიხედე, ორი ბიჭი ერთად მოდის სერზედაო! რეზინების შურდულეები წამოეცვათ ცერზედაო! დაინახეს ჩიტუნებმა, შეიცვალნენ ფერზედაო!

შევხედე და რას შევხედე! — ცრემლი მადგა თვალზედაო! დაერივნენ ფრინველებსა, ქვას სტორცნილენენ ქვანდლო! ერთი ბარტუცი ვერ გაქცათ, ვერ გაფრინდა განზედაო! დაჭრილები უიფივებდნენ ცრემლმორთულ ხმაზედაო!

კურდღელმა თქვა: ორი გოგო მიდიოდა ველზედაო, ირხეოდნენ ყვავილები, ეხლებოდნენ წილზედაო! ველი იყო მოქარგული ხალიჩების ფერზედაო! ვარდები და ია-ია, ნარგიზების ჭრზედაო!

აუვავებულ ველ-მინდორზე გაჩაღეს თამაზიო, სათითაოდ გადათელეს ყვავილები ღამაზიო! რაც დაგლიჯეს, ხომ დაგლიჯეს, თვალს დამწვა ტირილმაო! ერთი ცალიც არ დატოვეს მხიპი და გვირილაო!

კურდღელმა თქვა: ერთი კაცი მიდიოდა გზაზედაო, მხიარულად მომდიმარსა ცული ელო მხარზედაო! მოშრიალენ ხის ტოტები ირწეოდნენ ქარზედაო! ხენი იღგნენ მდღუპარენი, ვერ გარბოდნენ განზედაო!

შიშისაგან, ღამის იყო, გამოთეთრდა ღაწვებიო! შიფინა, შიფინა ალვები და ნაძვებიო! დაუნდობლად გადაჩეხა ბუჩქები და ხეებიო! მობიბინე ქალისპირებს დაუხენლა დღეებიო!


კურდღელმა თქვა: მონადირე ვნახე, ვამ, რა ყოფითაო — გაღმა მხრიდან მოდიოდა გატყინილი თოფითაო! ჩიტებიც და ცხოველებიც შეიცვალნენ ფერზედაო! მემებრები მოუძლოდნენ — დაგეშილნი ჩვენზედაო!


გავიქეცი, დამედვენენ, გამომიღგნენ სერზედაო!.. ტუვია, როგორც ხოშაკაქა, დამახალეს ფერზედაო!.. მგელიც მოკლეს, შველიც მოკლეს, არ ტოვებდნენ წვრლებსაო! ცარიელი ტუე შერჩებთ მონადირის შვილებსაო!..

ძნელი ყოფილა თურმე სიკვდილი, გულო, გაუძელ ლოდინს! ერთს თუ როგორმე დაეძალები, სხვა მონადირე მოდის! ვერ გავქეცი თოფსა და ტუვიას, ვერ შევფარე ხეებს! უკანასკნელი კურდღლის ბაქია ვემშვიდობები ტუეებს!..

ყველაფერი ცხადი გახლავთ, არც სიზმარი, არც ზღაპარი, ღამისაა, გატიალდეს მშობლიური მთა და ბარი!.. ღამისაა, წყარო დაშრეს, ღამისაა, გახმეს ზვარი!.. შეგობრებო, მოუარეთ! მეგობრებო, თქვენი არის!


თქვენი არის სვანეთის მზე და გომბორის თეთრი მთვარე, გურია თუ სამეგრელო — ზურმუხტისფრად მოელვარე! ჩეჭილიან-ქანიანი დახუნძლული ეზო-მწვარე! შეგობრებო, თქვენი არის! მეგობრებო, მოუარეთ!





სიცილისა და მხიარული განწყობილების მოყვარულნი მალე კიდევ ერთ ნობათს მიიღებენ — ბულგარეთის სიცილის დედაქალაქ გაბროვოში გამოვა ალმანახი „აპროპო“ და რადგან „ლიმილი თარგმანს არ საჭიროებს“, ნურც ჩვენ ვთარგმნით ალმანახის სახელს. ბულგარელი მეგობრები ქართველ კოლეგებს სთხოვენ თავიანთ ალმანახში თანამშრომლობას, თანადგომასა და მხარდაჭერას სიცილის ყველა საშუალებით. ალმანახის მისამართია: ბულგარეთის სბ.

ხალხო რესპუბლიკა, 5300, გაბროვო, ორლოვსკის ქუჩა, 148, საფოსტო ყუთი 104.
ამჟამად კი ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ „აპროპოდან“ მიღებულ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მხატვარ-კარიკატურისტთა ნამუშევრებს.





სატირისა და იუმორისტული
 ჟურნალი „ნიანგისი“
 № 8 (1618) აპრილი
 1923 წ. ივნისიდან.

ბიბლიური ხე კეთილისა და ბოროტისა, რომლის ნაყოფითაც ეშმაკმა ევა შეადგინა, რა ხანია ლეგენდებში აღარ ჩანს. ზოგი მკვლევარი იმ აზრისაა, რომ ევას ცთუნების გამო სამოთხიდან გამოძევებულბმა, უკვე ცოლ-ქმრად ქცეულბმა, ამ ხეზე იძიეს შური. გაშმაგებული ადამი შეიპარა თურმე ედემის ბაღში და ერთიანად ამოძირკვა იგი. დანარჩენები ბაღის გაქრობას მსოფლიო წარღვნით ხსნიან. ამ უკანასკნელი ვერსიის თანახმად, ხე კეთილისა და ბოროტისა წყლის სტიქიამ ევროპის კონტინენტზე გამოიყვანა, შემდეგ კი მისი ტოტები სხვა კონტინენტებსაც გადასწვდა...

ასე განახლდა, აღდგა მკვდრეთით ბიბლიური ხე კეთილისა და ბოროტისა და ახალი სახელიც შეიძინა — მას მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია უწოდეს! ადამიანებს, ცხადია, უპირატესად მისი ნაყოფი აინტერესებდათ, ხე ჩვენი წელთაღრიცხვის ამ ბოლო საუკუნეებში აყვავდა და შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა — უხვად დაიხუნძლა მისი ტოტები ნაირ-ნაირი ნაყოფით. ადამიანებმა იგემეს ხილი კეთილისა — კომფორტი. ამას აღარ დასჯერდნენ და მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში (ადამიანისსახიანმა ეშმაკებმა ისევ აცთუნეს ადამის მოდგმა) მათ ხილს ბოროტისას გაუსინჯეს გემო... და ამ შეცოდების შედეგად 50-მა მილიონმა ადამიანმა სამუდამოდ დაპყარგა ამქვეყნიური სამოთხე — დედამინა!

ჯადოსნური ხე კი უფრო გაიზარდა, დამსხვილდა, უკვე ცას ფარავს მისი ვარჯი, მის მძლავრ ტოტებზე

ვაითუ, გაშონდეს უმეცარი და ხილს ბოროტისას გაუსინჯოს გემო?!

„ადამიანებო, იყავით ფხიზლად! ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“ — ლოცვას აღავლენენ ერთურთის გასაგონად.

მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას — კეთილისა და ბოროტის ამ სასწაულ ხეს — დაბლა დანეული, ყველასათვის მისანდომი ტოტებიც აქვს და ამ ტოტებს წერილი ხილი ასხია — მცირე მექანიზაცია, მანქანა-იარაღებისა და ხელსაწყობის მსუბუქი კონსტრუქციები, რაც შესამჩნევად ალამაზებს და ამდიდრებს ადამიანთა ყოფას, ათავისუფლებს მათ მიძიმე შრომისაგან...

მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ამ კეთილ ნაყოფებში, თურმე ნუ იტყვი და, შხამს ურევნ თანამედროვე ეშმაკნი და ეშმაკსაყოფილი დასავლეთელი პოლიტიკოსები.

მთავარი იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიციებს უკვე უგემნიათ მცირე მექანიზაციის ეს ახალი ხილი და ძალიანაც მოსწონებიან, მერე გულუხვი მასპინძლობაც გამოუჩენიათ და თავიანთ ხალხებს სთავაზობენ!..

ამჟამად დასავლეთის ქვეყნების სპეციალისტები განიხილავენ კოპონია „მჩხვლეტავი ჭურვების“ დამზადების შესაძლებლობას. ამ ახალი ხილით პოლიციელები უფასოდ გაუმასპინძლებიან თავიანთ თანამემამულეებს.

ეს ჭურვები ქუჩებში ნიაღვარივით ნამოსულ დემონსტრანტებს ელექტრომუხტების ისეთ ზღვრულ ულუფებს ჩამოურიგებს, რომ ისინი მაშინვე გამოლენდებიან და საითაც უბრძანებ, იქით მიბრუნდებიან! თუ მათ შორის ვინმეს უფრო დიდი მადა აღმოაჩნდება, დადგენილი ულუფა არ ეყოფა და ურჩობას განაგრძობს, მას გულის შეტევა ემართება!..

მცირე მექანიზაციის ამ სტილიზებულ სიახლეებს ეკუთვნის სპეციალური გენერატორი, რომელიც მუხტავს ჰაერს და იწვევს მის ვიბრაციას. ვიბრირებული ჰაერი აბრიყვებს დემონსტრანტებსა და მანიფესტანტებს, გაფიცულებსა და შეფიცულებს, გაურკვეველ შიშსა შგვრის მათ. მერე კი, თავისა და მუცლის ტკივილით გათანგულნი, უსიტყვოდ მორჩილდებიან ბრძანებს. გენერატორთან უფრო ახლოს მყოფნი სისხლჩაქცევებით ჯილდოვდებიან, ამ ჯილდოს მიღებისთანავე პანიკა მოიცავთ და ერთმანეთს ფეხით თელავენ — გაურკვეველი მიმართულებით გარბიან!

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მათზე უფრო ძლიერ ზემოქმედებას მოახდენს მოციმციმე შუქი, რაც წყვეტილი სხივის პიანოზურ ეფექტს უტოლდება.

ამასთან ერთად, პოლიციელებს მზადა აქვთ ერთი სიახლეც — იარაღი, რომელიც ინფრანათეული სხივების უჩინარი მარნუხებით ბოჭავს ადამიანებს, თესავს მათში შიშს, მსუბუქ ტრანსს, ცხცაცხს, ბნედას!..

იმავე წრეებში რეკომენდებულია, თანამოქალაქეებისათვის გამოიყენონ მეტად „სურნელოვანი“ აირი „სი-ესი“, მისი ჩასუნთქვა ურჩებს ვარდისფრად მოაჩვენებს უღიმღამო კაპიტალისტურ ჯუნგლებს. რა ბედენაა, თუ, ამასთან ერთად, გულში ჩხვლეტებსაც იგრძნობენ და ბრონქიალური ასთმის შეტევისაგან ხველებით ჩაბყირდებიან?!..

ერთი სიტყვით, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის — ამ ჯადოსნური ხის მსხმოიარე ტოტებზე ახალ-ახალ რტობებს ამყნობენ ეშმაკნი და ეშმაკსაყოფილი კაცუნები, რომელთაც ადამიანის სახე მიუღიათ და პოლიტიკოსობას ჩემულობენ!..

აქ მხოლოდ ერთი რამ არის საკითხავი: ვინ მისცა ეშმაკეულთ ჩვენი სამყაროს ამ ერთადერთ ედემზე დამკვიდრების უფლება და იმის პრეტენზია, რომ განავონ ადამიანთა ბედი?!



სხვადასხვა ზომისა და წონის ნაყოფები ქანაობენ — ფრთოსანი რაკეტებითა და ატომური ბომბებით აღჭურვილი ავიამზიდებითა და წყალქვეშა ნაგებით დაწვებული და ბავშვის სათამაშოებით დამთავრებული. ოთხ მილიარდ ადამსა და ევას მოუყრია თავი ამ ვეება ხის ჩრდილქვეშ და მიმართვევენ მის ნაყოფს — ხილს კეთილისას. ამისათვის, ცხადია, არავენ ისჯება. განგების სასჯელი მხოლოდ მას ემუქრება, ვინც ხილს ბოროტისას წაეპოტინება...

ამასთან, ახლა რამდენადმე გამკაცრებულია სასჯელი: ერთის ცთუნების შედეგად ოთხი მილიარდი პყარგავს სამყაროს ერთადერთ ედემს — მზეუხესა და წყალუხვ დედამინას. საშიშროება დიდია, რადგან ეშმაკეულს კაცის სახე მიუღია.

მთავარი რედაქტორი
ზ ა შ რ ზ ო ლ შ შ ა შ ი

ს ა რ მ დ ა მ ც ი ო მ
კ ო ლ ე მ გ ი ა:
 შაბუა ამირაჯიანი,
 ნოზალი ზარბაზი,
 გორის გურგულია,
 ნოდარ დუშაბაძე,
 რამგა თხარაძე,
 ჯემალ ლოლუა,
 ნოდარ მალაზონია
 (მხატვარი-რედაქტორი).

ტ ლ მ ს ნ დ რ მ ს ა მ ს რ ნ ი ა,
გ მ შ ა ნ ს ი ს ბ რ უ ლ ი მ ი
 (პასუხისმგებელი მდივანი);

გ ი ზ ლ ა ფ ი რ ც ხ ლ ა მ ა შ ა,
ჯ ა ნ ს უ ლ წ ი რ ა კ შ ი ა ნ ი,
თ ა მ ა ზ წ ი მ ვ ი შ ა მ ი,
გ ა შ ა შ ა ნ ი შ ი ლ ი
 (მთავარი რედ. მოადგილე).

ნ ა შ ი ჯ უ ს ო მ ი თ ი.

ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი
მ ი ს ი ლ კ ა შ ა ლ ა ზ შ ი ლ ი

გ ა ლ მ ე ტ ა ა ს ა წ მ ო გ ა ლ
 23. 3. 82 წ.
ნ მ ლ ო მ ფ ი რ ი ლ ი ა დ ა ს ა გ მ ო ლ
 27. 4. 82 წ.
 ქალაქის ჯომი 70x100
 ფიზიკური ნაგებობი
 ფურცელი 1
 საბარეცხმომ-საბამომცემლო
 თაბახი 1,7
 საქართველოს კმ ცკ-ის
 გამომცემლობა
 ტენისის ქ. №14,
 შექვეთა № 750 უე 06217
 ტირაჟი 148.950.
 ჟურნალი გამოდის
 წევში ორჯერ.
 შედარებაში შემოსული
 მასალები ავტორებს
 რ უბრუნდებათ.

გ მ მ ნ ი მ ი ნ ა მ ა რ თ ი:
 80008, თბილისი-8, რუსთაველის
 პროსპექტი, № 42.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი მ ი: მთავარი
 რედაქტორის — 99-55-54, მთ-
 ელ. მოადგილის — 93-19-42,
 მ/გ მდინის — 93-10-78, მხა-
 ვარი-რედაქტორის — 99-02-38,
 ნაყოფილებათა გამგებების —
 93-19-32, რედაქტორ-ლიტმუშაქე-
 ნის — 99-02-38, მდივანი-მემან-
 სის — 99-76-69.

ს ა ტ ი რ ი კ ო - ი უ მ ო რ ი ს ტ ი ჩ ე ს კ ი
ჟ ო რ ნ ა ლ „ ნ ი ა ნ გ ი ს “
 (ნა გ რ უ ზ ი ს კ ო მ ა ჯ ე ზ ე)
 ტბილისი, პრ. რუსთაველი № 42.
 Издательство ЦК КП Грузии
 Типография Издательства ЦК
 КП Грузии, Тбилиси, улица
 Ленина № 14.
 ჟანკი 20 ბაზიბი
 ინფორმაცი 76137